

შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი.

№ 22.

კვირა, ოქტომბერი 19, 1908 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კანკეკათ.

აღრები: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: გამოვედით მუშაკო ვენახისანო—ალექსი ბერისა; სიზმარი (ლექსი)—რ. საჯავახოელისა; ქრისტიანული აღზრდა ნებისა (თარგმანი)—ე ჩ—ძე—სა; რა დროში ვართ—ტონკმელისა; პირველი ფურცელი ბიბლიისა (პროფესორ ბეტკისის)—ონოფრე მწირისა; ოჯახი სოციალისტურ საზოგადოებაში—ნაკარყანელისა.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ ქურნაღის წლიური ფასი.

ყოველკვირული გაზეთი

„შინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საგებარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერი ღირს 8 კანკეკათ აპრილიდან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

გამოვედით, მუშაკო ვენახისანო!

დრო თავის სიძარადისო მდინარეობით იწერობს მთელ საზღადასანო ისტორიას და თუისთუის ქაძთა ვითარებებით აძდიდრებს კაცობრიობის უძმოცდილებათა აღსაგაღს; ეს დრო თავის საგულისხმოდ წარსულის მოკვლინებათა აღბეჭდვით სხვათა მორის კვითვალისწინებს ერთს საამქვეენო საყოველთაო ბრძოლის ველს.—ბრძოლას ნათლისა და ბნელის მორის. ეს ბრძოლა, როგორც აღაძია

ნის შეძედარ აზროვნების, ანუ გაუნათლებლობის შედეგი, გასაკვირვლად არ უნდა მივიჩნიოთ და მხურად უნდა შევეუბნოთ იმ ცთომილ ზირებს, რომელნიც ბნელსა შინა, ღამის უფსკრულში უფრო ბედნიერად სედიენ „განათლების“ სსიკვებს, ვიდრე დღისით. დიად, ეგელა ღამე მფრინავ ფრინველთა ჯგუფიც ბნელში უფრო თვალმახვილოვანი მონადირეა და რასაკვირველია ბნელ-მონასრე ჩვენი თანამშებიც იმარჯვებენ ნადირობად უძანკო და გულწრფელ ახალ მოზარდ ემაწვილთა და ხაღსთა, რომლებთა ტვინი მოწაძლეს და ჩაუნერგეს ურწმუნოება და თან ურცხვინოდ კვიკვიენებენ და კვიწინასწარმეტყველებენ, ვითომდა მოძავალი ძაღე დაკანახებს სარწმუნოების დამხობას და სრულიად განდენის ღვთისმეტყველებასო. ამგვარი სიტყვებით ისინი თავიანთ უგულისხმოებას

ქუთაისი, გვირგვინი. საქ.
სახელმწიფო რედაქცია



საგენ, რომ მათ არაფერი გაეგებათ ისტორიისა.— ისტორია კი სულ სხვას გვეუბნება, რამეთუ მრავალგზის ეოფილის იგივე განმეორება და იგივე უძლეველობით ისტორიული დიდება ეკლესიისა..

გავითვალისწინოთ ის მეხის-ტეხისებური დროთა ქვეყნის შემზარავ გრგვინვით ძლიერთა იერიშობა და სასტიკად დევნა ქრისტიანეთადმი, რომელნიც დაწმუნებული იყვნენ ჩვენი ბნელ-მოასრე მძებრის არ იუოს, ძალე მოსწობდნენ „ქრისტი აღსდგას“. მაგრამ ამოდ. დღევანდელი ჩვენი უღმრთო მწერლები, რენანის და ბუბლეების თხზულებათაგან გატაცებულნი, წარღვნას გვექადიან, მაგრამ არა ნაკლებ მათი სიამაყისა, იმედოვნებდნენ ძველი მწვალებელი მწერლები, მათ შორის უმეტეს ეოველთა ჰორფირი ფილოსოფოსი, რომლის ათ-თუთხმეტ წიგნთა ზე-გავლენით ორას სამოცდა ათ წელს ძლიერად ეკვეთებოდნენ და სასტიკად ებრძოდნენ ეკლესიას, რომლის მსგავსი მტერი არ განენია საუდარსა ღვთისასა და ასეთ დროთა შემთხვევებში მართლაც საგონებელ იყო სრულიად მოსწობა ქრისტიანეთა ეკლესიისა, მაგრამ რას ვხედავთ?!.. ეველა ესე ჩვენთვის სამღევა-მოსილო გადმომასილია ისტორიის დროთა საუდრიდან, რომელ ჩვენთვის დასდგა არა ახალი რამ განსაცვიფრებელ, არამედ მრავალ-ჯერ ეოფილის იგივეობა, უმეტეს ჰირველისა ეკლესიის ძლიერების ასამაღლებლად, რამეთუ მრავალს ქვეყნებში, ვითარცა ზემო ვსთქვით ეკლესი-

ას გაუკლია საუკუნოებით უეუღმართ მეცნიერთა იერიში, მაგრამ იქ, სადაც კი ერთხელ და სამუდამოდ მაცხოვრის ღვთაებრივ ნათელს გაუთავისუფლები აღმნიანი ბნელ აზროვნებისაგან და ღმერთ-მოფელ მოძღვრებით—(სახარებით) გაუძდიდრება სულიერი აღსავალი ჩვენი სიცოცხლისა, რომლის ბრწევენაჲლე მარავანდდით ძადღ-მოსილნი მილიონობით ბრძენნი და ფილოსოფოსნი მნათობად წინა უძღვიან კაცობრიობას, ამოდ იბრძვიან სიამაყით და ხორციელ კემონებით განებიერებულ-გატაცებულნი მენიცთომისანი.— ესენი სულთა მზარავნი არიან და ავანახნი და ძალევენ თვით თავიანთ სულის წულიდი ნათელ მოძრავობას, რომელიც უთითებს მათ სშირად ზეცაში, მაგრამ ამ დიდებულ მახარებლის სძას მარწვენ თავიანთ გულის ბნელ სურვილებში, ვითომდა ძელიანსებური სიხმარი იუოს.

საზოგადოდ გაისძის, უბედური დრო დაგვიდგაო სარწმუნოების მსრივ. მართალია, მაგრამ ხეტარება ამ დროის სარწმუნოების შეიღებს! აი დრო ნამდვილ სამოციქულო და ვენახის მუშაკთა სანა-ეოფირო! როცა ნიუთიერ ვენახს გაუჩნდა ძლიერი მტერი „ფილოქსერა“, რომელიც ემუქრებოდა ძირითუთ განადგურებს, დაფაცურდა მეცნიერება, სძლია მოვლენილ მტერს,— და დღეს უწარჩინებულესად აღაორძინა წარმოება ვენახისა.

ესოდენ ქამის ძუდროებამ ჩვენში სა-

სულიერო ზირები უსრუნველობაში ჩააგ-
დო. უბრძოლველად ეოფნამ უსრუნვე-
ლობა წარმოშვა და უსრუნველობამ უდე-
ბენა და ამ დროს მსწრაფლ დაიქუხა უღ-
მრთოთა გრკვინვამ და ერთბაშად დასცა
შიშის ზარი ჩვენს ძირულებულს კონე-
ბას. ეს გრკვინვა ჩვენთვის მოწოდებაა
გაორკვეცებულ მოქმედებისათვის. გემარ-
თებს გამოღვიძება, მეცნიერების უჭემმა-
რიტესი საბუთებით ალაგება მოწინააღმ-
დეგეთა, ნათელ-კონებით მხედველობა და
მაღალ მეცნიერებით ახსნა და დასაბუთე-
ბა არსებითი ძიხეხებისა.

დღეიდან იწყება ახალი ხანა ჩვენს
სამდევლოების საისტორიო დროისა;
დღეიდან არსდება უძალესი სასწაულებე-
ლი კრიტიკულ მხედველობის მეცნიერებით
განსანათლებელი. გაღვიძება-გამოფისხლე-
ბა, წინააღმდეგობა ბნელ რაზმელების, ქვე-
ყნის მხოლოდ მძოვარ ზირუტეების, სუ-
ლის ძველ და სწეობის განმხრწნელ და
განმრეწელ მუცელ-ღმერთების მიმართ, —
აი ეს არგუნა დროთა ბრუნვის შემოქმედ-
მან თანამედროვე სესულიერო ზირებს. ვი-
ძეორებ, რომ დღეიდან ჩვენს სამდევლო-
ებას უღებება ღრმად ახსნა. რაჟდენი ხანია
და მხოლოდ ერთი ორგანო „მწეემსი“
უწევს ანგარიშს ეკლესიურ მოღვაწეობას.
უკანასკნელ ეამს წარმოიშვა ახალი ორ-
განო „ზინაური საქმეები“. დღეს, როდესაც
ყოველმხრივ გარემოგვადგენ და ბრახ-მო-
რეულნი ეფევენ სასიხლარ ლანძვბა-გინე-
ბით სავსე წერილების გამოფენით, დიდათ
სასურველია და სასუკემო ახალ ორგანოთ

აღორძინება, სადაც შეგვიძლია გამოუსთ-
ქვით ჩვენ ჩვენი გულის ნადები, მაგრამ
ისევე უღებება, ეს ჩვენი ჩვეულებრივი სტუ-
მარი ჯერ კიდევ, ამ საერთო გამოღვიძე-
ბის დროსაც, თავიდან არ გვმორდება და
გულ-მემაზარად ემუქრება ჩვენს დაწვებულ
საქმეს.

ვის არ დაადონებს დღევანდელი უს-
რუნველად და უღებად ეოფნა იმ ზირთა,
რომელნიც მოძღვარ-მწეემსის სახე-სახელს
ატარებენ, საქმით ვი დროთა ბრუნვის
ბედ-იღბალს ჩააბარეს მათი სამწესო და
თითონ კრინტსაც არა მერყენ. განა არ არ-
ცხვენსთ მათ საერო ზირთა მოღვაწეობა,
თუ როგორის დაუღალავის ენერგიით მუ-
შაობენ და იღვწიან მათი მიხნის მისაღ-
წევად?! — სარწმუნოების უარმოფელნი,
დღევანდელი სოფლის „განმანათლებელი“
თავ-განწირვით ეტანებიან თავიანთ საქმეს—
უგულმართ მწერლების სიტყვების შესწავ-
ლას და მათს ცხოვრებაში გატარებას. ჩვენ
ვი გულ-გრილად შევეურებთ მათს უღმრთო
გამოლაქრებას. ნუ თუ ისე შევძინდით,
ისე დავეკინდით და შევრცხვით, რომ დავ-
კარკეთ წინ-სლველობის იმედი?! ამით
თვით ჩვენ ვინდებით დამრღვევი სარწმუ-
ნოების ძლიერებისა და ვემასხრებით მაც-
ხოვრის სიტყვებს—(სახარებას); რამეთუ
ხმა უძლეველი ზეგარდამო ესრეთ დაგვა-
ხებს: „აჴა ესე რა მე თქვენთანა ვარ ეო-
ველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე
სოფლისა.“ მოუხდეთ შეუორგულებელის
რწმენით ამ დიდებულ და უძლეველ აღთქ-
მას და დაღაცათუ „ყოველი თესლები გა-

რე მოგვადგეს ჩვენ სახელითა უფლისათა ვეროდეთ მათ.“ და ესრეთ მივსდევდეთ თითოეული ჩვენთაგანი მოვალოების ერთგულებას, შესანიშნავ წიგნების კითხვით გონების განვითარებას, ეკლესიის ბრძენ მწერალთა საღვთის-მეტყველო ძეგლებს ნაწარმოების შესწავლას და ვიწრომით ქრისტეს ენაზე სიტყვით, საქმით, მწერლობით და ხალხში მწვერულს ქადაგებით. თუცა არც ისე დაცემული და დაობლებული ვართ, რომ არ გვევადეს გარდა გასწავრიბულ კატეხიზმონებისა, საღვთის-მეტყველო და საძეცნიერო განვითარებული მამანი, მაგრამ ვაი თუ უსასოებად დაძლიოს მათ თვით ჩვენი თანამებრძოლის სულიერ სიღამჯლის მხედველობით.— მე ვამბობ ცხვრის ტყავში ჩამალულ მგლებსე—ცრუ ეალები, განწინილ და ურწმუნოების ბნელეთში მფორთხავ ანაფოროსანსე. რას წარმოადგენს ის მღვდელი, რომელიც მარხვებში თავის მოწაფეთა წინ ნაურთუანობს ხორციის ძირთმევით და უსნის მათ, ეგ უმნიშვნულოა. კიდევ ამხე უარესიც მოწაფე ევითხება მღვდელს: არსებობს თუ არა სული და მოძღვარი მიუგებს: სული არ არსებობს, მაგრამ სარწმუნოება ცხოვრებისთვის მანც საჭიროაო! შე საცოდავო, ცა და ქვეყნის წინ სამასსრობელო, ღირსება ახდილო და კაცობრივ მენიღიად ჰიროვნების სიავახუობით დამღუჭელო მღვდელო! რად გინდა ეს ანაფორა? გაისადე, ნუ შებღაღავ საღმრთო სა-

სეს! გაისადე მეტეუარავ ანაფორა და ნუ შებილწებ წმიდა წმიდათას.

ეოველი ჩვენთაგანი თანამედროვე მოვალოებაში ისე ძლიერად მოწოდებულია განგებულებისაგან, რომ შეუძლებელია უპასუხოდ დარჩება და შეკნობილი ცოდვა იმ განათლებულ ნასწავლ მოწმუნე სასულიერო ჰირთათვის, რომელნიც ამბავთა სქენაში მხოლოდ ჩაფლულნი დუმილის ს.მარეში მირულებული უდარდელ ჰეოფენ ქრისტეს ანდერმს: „შენდა ჯერ არს დადებად ტალახტი ჩემი და მე მოვილი აღნდვინებითურთ“. რამ დასდო მამანო საცო ბაკეთა თქვენთა! თქვენ მოგახსენებთ ზოგიერთ განათლებულ მამებს! რას მივაწეროთ ასეთი თქვენი სიჩუმე უდებება და გულგრილობა ქრისტეს სიევარულის წინ: „უკეთუ გიეუარ მე, დამწესენ ცხოვარნი ჩემნი!“ სამკალი ფრიად არს, მამ გამოვედით მუშაკნო ვენახისანო, ვემედრდეთ ქრისტეს მიერდნობილნი უძლეველობის იმედით, აღვიძაღლოთ ხმანი, რათა ვიქმნეთ „მენი ქუხილისანი“, ვთესოთ სასოებით საღმრთო სიტყვანი, რათა ექმნეს მახვილ მოძსრველ უღმრთოთა სიამაეესა, ღრმად გეწამდეს და მდიდარ სასოებით მოველოდეთ ბრწეინვალე გამარჯვებას, რამეთუ თქმულ არს: „უღმრთოთა არა წარემართების. და სიქადული უღმრთოთა წარწემდეს“.

ალექსი ბერი.



სიზმარი

(აკაკის იუბილეს გამო).

ვიხილე გულის დამტკობი,
სასიამოვნო სიზმარი:
ვარსკვლავებს ბინა დაეთმო,
გაღებულყო ცის კარი.

ვნახე, აქ შეკრებილ იყვნენ
ყველა ქართველთა მოღვაწე,
მეც მათდა საცქერ-სასმენათ
თვალი და ყური მოვაწყვე.

მეფე დაფით და თამარი
ტახტზე სხდენ გაბრწყინვებული,
სხვა მეფეებიც რიგრიგად
აქ ისხდენ ჩამწყვრივებული.

თან ახლდათ ქვეყნის ერთგულნი
ამირბარ — სპასალარები,
აქ ისხდენ: ნინო, ქეთევან
ანგელოსთ შესადარები.

კათალიკოსი ანტონი,
ანტონი ჭყონდიდელია,
იმერთა ეპისკოპოსი
სულმნათი გაბრეღია.

ერთ ჯგუფად ისხდენ მწერლები
პირმომღიმარი სახითა,

მტრის შურიც გაქარწყლდებოდა
ყველა ამათი ნახვითა.

შოთა რუსთველი, პეტრიწი,
შავლეტი, სარქის თმოგველი,
საბა სულხანი, ილია,
ჩახრუხაძე და ხონელი.

შუაში ისხდენ ესენი,
სხვები გარშემო ესია;
ერთი მეორეს უსმენდენ,
როგორც რიგი და წესია.

აბრძანდა მეფე დავითი,
ღეთისაგან მირონცხებული,
ქვეყნად მის ღვაწლის მიხედვით
ყველასგან პატივცემული.

და ბრძანა: ქვეყნის ერთგულნი,
გეტყვიტ და მომისმინეთო!
ჩვენს ქირნახულსა ქვეყანას,
ადაც ვცხოვრობდით წინეთო,

რისთვისაც სისხლი დაღვარეთ,
ვიტვირთეთ თავდადებაო,
მას ვანაცვალეთ სულყველა:
ცოლი, შვილი და დედაო,

ჩვენს შემდეგ ვინაც ჩვენს ანდერძს
შესწირა ნიქა თვისიო,
არის თუ არა ყველანი
ჩვენგან პატივის ღირსიო?

ფეხზე წამოდგენ შეფენი
და ყველა დიდებულები,
დასტური დასცეს: დიახაც
ჩვენ ვართო ვალდებულები....

მეფემ განმარტა: ქართველებს,
ეტყობა შეუგნიათო,
სამშობლოს მოქირნახულე
პატივით შეუშვეიათო.

და აი ახლაც აკაკის
უხდიან დღესასწაულსო,
ჩვენც მის ღვაწლს თუ არ აღენიშნავთ
ჩავიდნენ დანაშაულსო.

წარსდგა ილია მეფის წინ,
მორჩილად თავი დახარა...
— მეფეო! თქვენმა ბრძანებამ
მე დღეს დიდი რამ მახარა.

მე და აკაკი რაც ვიყავთ
არ მოგახსენებთ ქებითა,
ერთ ჭაპანს ვეზიდებოდით
თანხმობითა და ნებითა.

აი ეს ქვეყნის ერთგულნიც
აქ მყოფნი, ყველა იტყვისა,
ჩვენც ამათ ანდერძს მივსდევდით
საბედნიეროთ ქვეყნისა.

მერმეთ რა შემძღვენს ამისთვის?!
სიცოცხლე აღარ მაცალეს,
ტყვიით განმგმირეს ვით მტერი
სამშობლოს გამოძალეს!!

დღეს თუ ქართველნი უპირებს
 პატივისცემას აკაკის,
 ამას ვთვლი ჩემად პატივად
 და გარდახდათა ამაგის...

მისთვის, რომ მე და აკაკი
 ერთს უღელს ქვეშა ვიღწვოდით,
 სამშობლოს ღმერთით ვტკბებოდით,
 და ქირით მეტად ვიწვოდით.

აბრძანდა მეფე თამარი,
 შეუქმფენი, მანათობელი,
 დიდება ქართველთ ერისა,
 მეფეთა შემამკობელი.

და ბრძანა: მართალი არის
 ილია ამბოზს რასაცა,
 ვინაც აკაკის პატივს სცემს,
 პატივს სცემს ილიასაცა.

ეს საქმე, ანტონს მივანდოთ,
 კათალიკოსსა, ჭკვიანსა,
 ყოველ სფეროში გამოცდრის,
 ბრძენსა და ენაწყლიანსა,

იუბილიარს პატივი,
 რითი ესცეთ შესაფერი
 ის იტყვის! რჩევა იმისი
 ჩვენგანაც დასაჯერია.

კათალიკოსი აბრძანდა,
 ისმენს, დედოფალს რაც ნებავეს,
 და მსწრაფლ ასრულებს მინდობილს
 მეფეთა მეფის ბრძანებას:

აკაკის სადღეგრძელოთ ჩვენ
 ულოცოთ პარაკლისიო,
 ჩვენ ეს შეგვეფერის და ქვეყნად
 შეავსონ დანაკლისიო.

თანხმობის ნიშნათ ყოველ მხრივ
 „ამინმა“ დაიგრილა,
 და მღვდელთ მთავრებშაც თავის მხრივ
 ლოცვა არ დაავიანა.

წარმოდგენ მგალობელთ გუნდი,
 ლოტბარობს დავით ჩხარელი,
 ისმის ქართული გალობა,
 გულისა გასახარელი.

ერთად შეყრილან სულ ყველა:
 კანდელაკები დუმბაძე,
 კარბელოვ-ქალაყანიძე,
 ცქიტიშვილი და ანთაძე.

გონების სულის დამტკობად
 მომესმა ტკბილი ეს ხმანი,
 პირჯვარი გამოვისახე,
 ერთიც მოვასწარ თაყვანი,

ვილაც მომვარდა მრისხანეთ,
 ხელში ეჭირა არგანი,
 კინწი მკრა, პირქვე დავეშვი,
 ლოგინზე გავხდი ბრავანი.

ნეტავი ცხადათ მენახა,
 რაც მე ამ ნახვით ვიხარე...
 აკაკის პატივს ვინ არ სცემს
 ჩვენი სამშობლოს მოყვარე?!

რ. საჯავახოელი.

12 ოქტომბერი 1908 წ.



ქრისტიანული აღზრდა ნებისა.

(თარგმანი.)

(გაგრძელება*).

„სასუფეველი ღვთისა ზორის თქვენ-
 სა არს (მ. 17, 21.)

სასუფეველი ღვთისა ძალით მოიხვე-
 ტების და ვინც ძალას ხმარობს იგი მოი-
 ხვეს მას (მტ. 11, 12.)

ესა თუ ის სპეციილური საქმე, ან სამსა-
 ხურის სხვადასხვაობა აქ სულ ერთია. თვითო-
 ეული ჩვენგანი, სანამ საზოგადო საქმეს მოპ-
 კიდებდეს ხელს, უნდა იყოს ადამიანი ამ სიტ-
 ყვის ნამდვილი მნიშვნელობით. სასარგებლო
 მოღვაწედ რომ გახდეთ, საქიროთა იყოთ ზნე-
 ობრივად აღზრდილი; ადამიანის სიდიადის აუ-
 ცილებელ დასაბამად, რა ფორმითაც უნდა გა-
 მოიხატოს ის, უნდა იქნეს მიჩნეული ზნეო-
 ბრივი ღირსება. განსაკუთრებული საქიროს ის
 კი არაა, — თუ რა საქმეს უდგებართ: საგანისო

*) იხ. „ზინ. საქ.“ № 21.

საქმეს აკეთებთ, თუ უბრალო ყოველ დღიურ შრომას ეწვეით, არამედ საქიროა, რომ ყოველგან და ყოველთვის იქნეთ ერთგული ქრისტეს მცნებებისა. „იყვნით მარილ ქვეყნისა, იყვნით ნათელ სოფლისა“. საქიროა, რომ ყოველთვის და ყოველ ადგილას იქონიოთ თქვენს გარშემო მყოფებზე კეთილი გავლენა, თქვენი მაგალითით შეაყვაროთ კეთილი და სიმაართლე, ასწავლონ, რომ ღირსეულად დააფასონ ცხოვრების ზნეობრივი სიმშვენიერე. „გინა თუ სქამდეთ, გინა თუ სვამდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდეთ, ყოველსავე სადიდებლად ღვთისა იქმოდეთ“ (კორ. 10 თ, 31 მ.)

ეგრეც ბრწყინავდენ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქვენსა ზეცათსა“ (მათ. 5 თ. 16 მ.)

ამ მცნებისაგან ყოველნაირი განდრეკა მოვალეობის წინაშე ლალატია, რაიცა აუძლეურებს ჩვენს ზნეობრივ ენერჯიას და გამხრწნელს გავლენას სდებს მთელს ჩვენ მომავალ ცხოვრებაზე. ცოტაოდენი ტალახი ქაობისა წმინდა წყაროში რომ ჩავარდეს, თვალისათვის შეუმჩნეველი იქნება, მაგრამ, როცა გაიხსნება ანკარა წყალში, ცოტათი ამღვრვეს იმას და შეიძლება გააჩინოს შიგ მრავალნაირი ავადმყოფობის ბაქტერიები. ასეთია ბუნებრივი კანონი, რომელიც ერთნაირად მოქმედობს როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ არსებაში, ამიტომ ყურადღებით უნდა ვექვევოდეთ თავის თავს ყოველს კერძო შემთხვევაშიც კი. საწამლაი რა ზომითაც უნდა მიიღოთ იგი, მაინც საწამლაი ვია და ბოროტება ყოველთვის ბოროტებაა, თუნდაც უმნიშვნელოდაც გეჩვენებოდეს ის. სიმი დაკვრის დროს, თუნდ ერთი წამითაც დასუსტდეს, მაშინვე სცემს ყალბ ხმას და აფუჭებს მთელ სიმღერის შთაბეჭდილებას. იგივე უნდა ითქვას ადამიანის სულის ზნეობრივ ვარმონიაზედაც. ჩვენ ჩვეულებრივ ძალიან მჩატეთ ვებყრობით სხვა და სხვა ჩვენ წვრილმან სუსტებსა და ნაკლულევენებებს, მაშინ, როდესაც ამას ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს. როგორათაც ალბის და გიმალას მთები შესდგება უმნიშვნელო ქვათაგან, თვალ უწე-

დენელი ოკეანები—პატარ-პატარა წვეთთაგან, ისე ჩვენი ცხოვრება შესდგება წვრილმანებისაგან. გმირები ხომ საუკუნოებით იბადებიან, საგმირო საქმენი ყოველ საათში ხომ არა ხდებიან, მაგრამ ცხოვრება ამ დროს მიმდინარეობს თავისი გზით და თან ატარებს ჩვეულებრივ ყოველდღიურ ქირ-ვარამს. აი, ამ ცხოვრების წვრილმანებში უფრო კარგათ გამოიკნობა ადამიანი. აქ, ასე რომ ვსთქვათ, თითოეული ბუმბული გვიჩვენებს ქარის მიმართულებას, თვითოეული უმნიშვნელო ჩალა გვაცნობებს მდინარის მსვლელობას. „სარწმუნო იგი მცირესა ზედა, მრავალსა ზედაც სარწმუნო არს; და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსაცა ზედა ცრუ არს. (ლუკ. 16 თ. 10 მ.)

რამდენიმე წლის უკან, პომპეის ნანგრევებში იპოვნეს რომაელი მხედარი შუბით ხელში და პირზე ჩამოშვებული ფართი. ცხადია თავის ადგილზე მდგომი მხედარი ხედავდა მისკენ მიმავალ აუცილებელ სიკვდილს, მაგრამ თავის მოვალეობისადმი ერთგულებისა გამო, ის ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ ფარი ჩამოიფარა, რომ არ დაენახა მის გარშემო მომხდარი საშინელებანი და ასე ზვავის ნაცარ ქვეშ მოქცეული, ის ღღემდე შენახულა. უექველია, რომ ეს ერთი იმ აურაცხელ გმირთაგანია, რომელნიც არ იციან ქვეყანამ და იმათი საგმირო საქმენი რომ უფრო კარგ გარემოებებში მომხდარიყო, ისტორიის ფურცლებზე დაიწერებოდა შთამამავლობათა მაგალითად. ის რომ არ დაღუბულიყო პომპეაში, თუ ცხოვრებაში წილად არ ხედებოდა დიდი გმირობის ჩადენა, მაინც თავის მოვალეობისადმი ერთგული და მამაცი ვაჟაკი იქნებოდა.

ამისათვის უნდა გვახსოვდეს, რომ, შეიძლება, ცხოვრებაში არ მოგვლოდეთ დიდი საქმის შესრულება, მაგრამ ყველას შეგიძლიათ დავალებულიცა ხართ პატიოსნად შეასრულოთ თქვენი დანიშნულება: შეგიძლიათ შეიტანოთ ცხოვრებაში სიკეთის და სამართლიანობის ის ნაწილი, რომელიც თქვენს ბუნებრივ ნიქს შეესაბამება. ვიმეორებ, ყოველ კაცს არ შეუძლია გმირი იყოს, და თუნდაც იყოს ვინმე, საგმი-

რო საქმეებში საქიროება ყოველდღე არ არის, მაგრამ ჩვენ ყველის შეგვიძლია ვიქნეთ კეთილნი, პატიოსანნი, ცხოვრების უმაღლესი იდეალების მატარებელნი და მუშაკნი ქვეყანაზე ღვთის სასუფეველის დამყარებისა. უკეთეს გსურთ პატიოსნად აღასრულოთ თქვენი დანიშნულება ქვეყანაზე, მოემზადეთ, იმუშავეთ თავისთავზე, რომ შეიქნეთ იმ დიდ მიზნის ღირსნი, რომლისათვისაც არა არსიდგან არსებად მოგიწოდა უმაღლესმა ნებამ. იცოდეთ, რომ, როგორც ზნეობრივი, ისე ფიზიკური ძალები, იზრდება ვარჯიშობის შემწეობით, თუ გინდათ შესძლოთ ფუთიანი გირების თავისუფლად ტრიალი, საქიროა დაიწყეთ ვარჯიშობა გირვანქიანებიდან, უამისოდ უცებ ვერ გახდებით ფალანჯანი ამიტომ დაუღალავად ამუშავეთ თქვენი ხასიათი, ავარჯიშეთ კეთილისა სიმართლისადმი მისწრაფებაში. არ გაუშვათ ერთი შემთხვევაც, რომ იმან თავი გამოიჩინოს იდეალურის მხრით. ვინ იცის, იქნებ, კერძო უმნიშვნელო შემთხვევა შეეხოს გულის კუნჭულში თითონ თქვენთვის უცნობს საუკეთესო სიმებს, ვინ იცის, შეიძლება, თქვენი ცხოვრება გარდაქცეს ერთ ძლიერ-მოსილ პიმნად სიყვარულისა ღვთისა და ადამიანისადმი. სახარებამ აღგვიჩინა ამ მხრით რამდენიმე შესანიშნავი შემთხვევები. ავიღოთ მაგ. თუნდაც ზაქეს მაქვევა. (ლუკ. 19 თ. 1—10 მ.)

იესო ქრისტე, გარემოცული მრავალი ხალხით მადიოდა იერიქით. უნდოდა რა ესარგებლა ამ შემთხვევით ვინმე ზაქეს, მდიდარ კაცს და მეზვერეთა უფროსს, სურდა დაენახა ქრისტე, მაგრამ როგორ მოეხერხებია ეს, არ იცოდა. მასთან ახლოს მისვლას ვერ ჰბედავდა, რადგანაც ამის ღირსად არ სთვლიდა თავის თავს. მოაგონდებოდა ხოლმე თუ არა თავის გასული ცხოვრება, სირცხვილის ოფლი და სიწითლე გადაეკვროდა მის სახეს და ღრღნიდა მის გულს. რა ადგილი მექნებოდა, — ფიქრობდა ის, მე, ხალხის მძარცველს და უმწეოთა მყვლეფელს, სიყვარულის და სიმართლის დიად მოძღვართან ახლოს? არა, ზაქე უმაღლ მიწაში ჩაძვრებოდა, ვიდრე ღარიბ მას-

წავლებლის წინაშე წარდგომას და იმის წმინდა თვალთა შეხედვას განიკლიდა, რომელიც, როგორც ამბობდენ, — სულის სიღრმემდის სწვდებოდა და ჰკითხულობდა გულის დაფარულ საიდუმლოებას. ნახვა კი მაინც ძლიერ უნდოდა. ზაქეს იმდენი ჰქონდა გაგონილი ეხლა მომავალ მასწავლებლის სიკეთეზე და სიწმიდეზე, რომ მთელი მისი არსება იმისაკენ მიილტვოდა. თავის და სხვების ცხოვრებაშიაც ისე ცოტა სიმართლე უნახავს ზაქეს, რომ ის ბევრს დახარჯავდა, ოღონდ ერთი შეეხედა იმისთვის, ვინც იყო თვით ჰემმარტება და ჰემმარტებას ასწავლიდა სხვებსაც. სამწუხარო ის იყო, რომ ზაქე ტანად მორჩილი იყო და, ხალხის უკან შორს მდგომს, ქრისტეს დანახვა არ შეეძლო. მაშინ ის გაიქცა წინ, გზის პირას ავიდა ლეღვზე და ელოდა როდის გაივლიდა ქრისტე. როდესაც ქრისტე მივიდა იმ ადგილზე, გაიხედა, დაინახა ზაქე და უთხრა: „ზაქე! ჩამოდი, მე დღეს შენს სახლში უნდა დავრჩე.“ ზაქე თავდავიწყებული დაეშვა ძირს ხიდან და დიდი სიხარულით მიიღო სახლში ქრისტე. ქრისტესი რამდენიმე სიტყვა იყო საქირო, რომ ზაქეს გული გარდაქმნილიყო. იმ აზრმა, რომ იესომ, დიდებულმა მართალმა. არ იუკადრისა უსირცხვილო მყვლეფელი, როგორც ელვამ, ისე გაანათლა ზაქეს ბნელი სული. ზაქე განათლდა სულიერად, დეე, სხვებმა ზიზღით უყურონ იმას, როგორც მძარცველს, მექრთამეს და შემაწუხებელს, ზაქესთვის კი ცხადი იყო რომ იმისთვის ყოლიფერი არ დაღუპულა ღვთის წინაშე. მის შინაგან არსებაში შენახულია, რაღაც ღვთაებრივი ნაპერწკალი, რასაც ასე ძვირად აფასებს მისი დიდებული სტუმარი და რაც ეხლა გახდება მის მომავალ ცხოვრების უძვირფასეს საუნჯედ. ყოველივე ის, რის გულისათვისაც უწინ ზაქე ასე თავიხდად ფეხს ქვეშ თელავდა სიმართლეს და სიკეთეს, ყოველივე ის ეხლა იმის თვალში უმნიშვნელო შეიქნა. იმისთვის ერთადერთი იყო საქირო: შეენარჩუნებია ის სათნოება, რომელიც ქრისტემ ეგრე მოულოდნელად მოიღო მანზე. ზაქე, როგორც სახარებაში ნაამბობია, აღდგა და უთხრა ქრისტეს: „აჰა უფალო! ზოგი ნა-

ყოფთა ჩემთა მივცე გლახაკთა, და უკეთუ ვის-
მე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი. პრქვა
მას იეო: დღეს იქმნა ცხოვრება სახლისა ამის.
(ლუკ. 19 თ. 8—9 მ.) ათი წამის წინად, რო-
დესაც ზაქე ხეზე აღიოდა, რომ დაენახა გამე-
ლელი ქრისტე, შეეძლო ეფიქრა იმას, რომ
ის ასე გამოიკვლევოდა?

არის ძველი ინდოელი თქმულება, თუ
როგორ ერთმა მამამ ხიდან მწიფე ნაყოფი
მოსწყვიტა, გასქრა შუაზე, ამოიღო გული,
აჩვენა შვილს და ჰკითხა, რას ხედავს ის იქ.
„რამდენიმე პატარა თელს“, სწრაფ მიუგო
შვილმა. „აიღე ერთი იმათგანი, გასტეხე და
სითხარი, რა აქვს იმას შუაგულში?“ შუაგულ-
ში არაფერი არა აქვს, გაუგებრად უთხრა შვილ-
მა. შვილო ჩემო, ბრძნულად შენიშნა მამამ, —
მარცვლის შუაგულში, იქ სადაც შენ არაფერს
არ ხედავ, არის დაფარული უშველებელი ხის
სიცოცხლის ნასახი, რომლის ნაყოფით შესა-
ძლებელი იყო დამტკბარიყო ასობით ადამი-
ანი, თუ კი ეს ნასახი დავარდნილიყო კეთილ
ნიადაგზე და აღმოსცნულიყო!“.

რამდენი ასეთი კეთილი ნასახი იღუპება
ყველა ჩვენგანში იმის მეოხებით, რომ ჩვენ,
როგორც მუშები, ვხედავთ იმათში ვერაფერს
და არ ვაძლევთ იმას მნიშვნელობას. რამდენი
წმიდა და მაღალი გრძნობები ქცნება იმიტომ,
რომ ვერ ვაქცევთ იმათ ყურადღებას და არ
ვაძლევთ საშუალებას გაიფუჩქნოს და გამაგრ-
დეს ჩვენში! და რაც დრო გადის, მგრძნობი-
არე გული მოუხეშავი ხდება; იშვიათად აღიგ-
ზნება ხოლმე კეთილი მისწრაფებანი, სიყვა-
რულის და სიმართლის შესაძლო საქმეები აღარ
სრულდება; ცხოვრება კი ასე ლაჩიბია ამაებით
და ასე დიდათ საჭიროებს ყველა ამას.

ე. ჩ—ძე.

(შემდეგი იქნება).



რა დროში ვართ?

(შემდეგი *)

ასე დაჯინდა დღეს ბეჭედათი სიტყვა! გა-
ნა დღეს დიდი სასულიერო მუშაობისტი, ან მო-

*) იხ. „შინ. საქ.“ № 21.

წინავე კაცი, ან მისხული კრიტიკული გენიოსი
უნდა იყო, ან მეცნიერი ბროფესორი, რომ გასე-
თის რედაქტორად შეიქნებ? არა, დღეს ეს საქმე
ძლიერ გადაიღდა: რედაქტორობა შეუძლიათ ბი-
ჭუჭუებს ქუჩისას, რომლებიც გუშინ კარნიდორობში
კალოშებს იპარაკებენ! არაა ასე? განათლებული
დროა და მიტომ! გუშინ რომ აღამ ნოქარი დაი-
თხოვს, ხელის მოწერა არ იცი და „სნოტს“ გერ
ადგენო, დღეს რედაქტორობს!?! ჰოი საკვირველებს!..
გუშინ ჰოგრობი მოასდინა და დღეს რედაქტო-
რობს, რომ „ხატავები“ უკითხოს საზოგადოებას
და, რომ აღზარდოს იგი! დილას ფოსტა გატე-
სა, ათი კაცი მოკლა, ფულით უჩრუნველ ჰყო
თავის თავი და სადამოს გასეთის ნება აღო, და
განრედაქტორდა!.. ვინა თქვა სულელმა, ჩვენ დრო-
ში სასწაულები აღარაა?! ბრმა რას დაინახავს და
ურუ რას გააგონებს!

მერე თქვენ რას ეფიქრობთ? თავისს საქმეს
აკეთებენ! ისინი ხომ გასეთს საზოგადოების
აღსაზრდელად არ სცემენ მართლად?! არა გასეთს
სცემენ, რომ პირად ჰარტიუდს მტრებს შუბი
უჭიან, მისი აზრი ჩაჭკლან ცნესლით და მასკი-
ლით თავისი გააძეფონ, ან მეტი ფულია შეკრბონ
და სჯალ ახალი „ჰოგრობი“ მოაწონ, არც თუ ძნე-
ლია ეს საქმე. ჩვენა ახალი რედაქტორი ორ გრო-
შათ აუიდას ქუჩის მხატვარს, რომელიც ეუჭს
ემსახურება და არა სელაგზებას, ან და მალაინს
დაიქორავებს, გასეთის წინა პირზე დასაატანებს
რამე საკვირველობას, მხეცს სპამ თავით, ერთი
ფესით, ეშმაკის კუდით, ან ვიდევ სხვას ამის
მსგავსს, შიგა ფურცლებზე დახატავს თავის მო-
წინააღმდეგეს, რომელსაც გაუკეთებს ჩიტის თავს,
დევის ტანს, მთის ოდენა ცხვირს, ნემსის ფეხებს,
და მორხა! გამოტყმა უჩრუნველ-ყოფილია! ბრმა
აღტაცებაში მოკა დიდი ცხვირით „ხატარა ფეხე-
ბით“, „დიდი ღიბით“, „გრძელი კუდით“ და
შინაარსს რას დაგადებს, და თუმცა რედაქტორმა
ის ნიჭიც გამოიჩინა, რომ კარიკატურას გვერდით
ორიოდ ღამაში, ე. ი. უწმაწურა სიტყვა შეითი-
ხნა და რითმაც გაუკეთა ბოლოში, თუ ვინდ სი-
სულელით იყოს გატენილი და სამაიკიტნოს წნე-
ობით შეშეული, ან მოხერხებით დაჯინა დედა მოწი-
ნააღმდეგეს, ან რამე სასაცილო შეთხზა მისი
ცხოვრებიდან, ამით ხომ „ფურცლიც“ მოახიბლა მკი-

თხველებზე! აი ასე ადვილია დღე! დიდ—კაცად გახდომა! სწორე გაბეჯვით, უცნესურთო, ჭებურათ, უოკლეივე საზოგადოება, სისამაგლე, ლანძღე ღმერთი, მეფე, ეკლესია, სამღვდელეობა, სარწმუნოება, — ყველაფერში იღლით წახვალ, დარდა ნუ გაჭკეს, კაცა ენას ან მოგჭრის, ბრბო კი გაგაგმირებს და ფუღს ოხრად შემოგაყრის რედაქციაში!

მაგრამ მერხიერებას მნათობიც რომ იყო ხელაუნების „შედეგობიც“ ტკეუთუნადეს, მაინც შიშხილით მოგკლამენ რედაქციაში, თუ შენი ენა ლიტერატურულია, კალთა კეთილშობილური, მხნეობა ლამაზი და თუ მასთანავე არა გაჭკეს კარიკატურები, ბეჭეტი ლაზრანდარობა და ჭებური ლანძღვა გინება გახეთქი ასეთი შეიქნა კხლანდელი გემოვნება!

სადაა დღეს ლიტერატურა და ხელაუნება! სადაა მერხიერება! სადა არიან კაცნი, რომლებიც ადგილი დღეს კაცუნებშია დაიჭირეს და ბიჭებში ლიტერატურაში გამოეხეულა „სქესური რომანი“. ის ძალადა გრძობა, რომელიც თვით ღმერთი, რომელიც ძალადა სარწმუნოებაზედაც და სასოებაზედაც, სიუჟარული ფესქვეშ გათელილია და გალანძღული, ცინაზით ავისილია! დიდ მოწონებაშია და მოდაშია შორხე გრანფია, ე. ი. ტრეკლი ქალების სატკა სსვა და სსვა შოხობი. აუდიტორიებში ხალხი აღარ ტევა, თუ ლექციას ფიზიოლოგიადან კითხულობენ და ნამეტურ შესახებ ორ სქესთა გაუშარისა. ქვეუნი შირი ახუსეს ნახატბანმა გამოცემებში! აღარ ზოგავენ არც შრომის, არც ქონების, თუკი დაუხატავს აღა და ტოკებენ არც ერთს ქალს, მის სსუელის ნაწილებს, მამაკაცთან გაუშარს. აქ სცენა უკლეების მერეფელთა იქ ახანოში თამაშობა, კადეკ იქ სიძინებელი ოთახში სიფხიზდე, ერთი სიტუიით უკლად ცდილობს, რომ ფანტაზიის სიმდიდრე გამოაინოს და საზოგადოებას, რაც შეიძლება, მეტი ტალახი ესრდოს შირზე, ახლთაობა გაანადგუროს, კეთილი და წმიდა გრძნობა მოკლას! არა ეს იმის ნიშანი, რომ ჩვენ გადაგვარების გზაზე ვადგავართ?! განჭკრა ძალადა მიხანია! მიწა ზეცას დააჭდა, ადამიანი გაზირუტედა! სცენაზე გამეფდა არა მწერლობა — აღმრხდელი საზოგადოებისა, არამედ ბეჭდვითი წმენდა მერხი თხრობებისა და ორმოებისა. ნორმალური ადამიანების ნაცლად, მოკლელებისა ბრბო შოლიტიკური ნერასტეხიკებისა, კრეტიანი-

ბისა, ტეკათხლებისა, იდიოტებისა, კატრობენ ფრახებით და სურთ მესიკით დაატეობს არა უურები, არამედ თვალები, მსატკრობით — სსამოკონ არა თვალები, არამედ უურები, კარგი ლექსები კი არ მოისძინონ, არა იხილონ, არამედ გასანჯონ ენი თ! ჰოდა კადეკ იტუიით, რომ ამ საზრდალეთ შეჩენათ „სული და არ გადაჭრულან ხონხსად, ლანდად, მოხვეუნებად?! ცას ომი გამოეცხადეს, მიწას დაემოყრენ და მწად იტენ სორცითაც და სულითაც! ახლა მათ ჰკითხეთ! თავი პრამეთუაზებით მოაქეთ! რა გაეწეობა?! კაცა და გუნება! ასეთა ბუნება მათი და მათთა მსგავსთა. ქონდრის კაცობიც მეფობენ სოღმე, როცა ნამდვილი კაცები აღარ არიან!

საზარელია ეს სურათი! უსაზღვროა ეს დანაშაული, ეს გარუნა საზოგადოების! იგი ზასუხის მტეხელია კაცობრიობის წინაშე, ვინც თავის ნიჭს ბორტად ხმარობს, ადამიანში მხოლოდ შირუტეეულ გრძნობებს სძრავს და ზნეობრივად ანადგურებს ახლთაობას! ეს კაცობრიობის შეურაცხებაა, ეს მომაკვდინებელი ცოდვაა, თუ იგრძნობს კაცი!

ეს ბორტება ასეთი დიდია, რომ კადეკ უნდა დაუბრუნდეთ მას და დაესურათოთ მეტიას ფაქტებით კხლანდელი ბეჭდვითი სიტუვა.

ასეთი ბორტება ბეჭდვითი სიტუვის ხელობად გადაიჭრა დღეს! უმეტესი ნაწილი თანამედროვე შერიოდულ გამოცემების ტექსტშიც და სურათებშიც გახსილია ეოკლად საზოგადოება, გულის ამრევი ეზოზოდებით გარეხილ შირთა სიადრელო ცსოერებოდას. დღევანდელმა შრესსამ და ნამეტურ ჩვენმა სოციალ-დემოკრატულმა გამოცემებმა ისე დაჭკარეს გონიერება, აღო, რომ საჭიროდ და სსი-ჭადულოდ სცნეს გადმობეჭდა ახლთაობის გასარეხელად და შირუტეეული ინსტინკტების გადასარეკათ ბოკკახიოს დეკა შერონიდან საზოგადოარი სცენებისა. საკვირველი ნიჭიც გამოაინეს ჩვენმა „რედაქტორებმა“ ამ სქემა! იფიქრეს სურიოზულის დაწერის თავი ღმერთმა არ მოგვცა, რომ სსვას დავაწერინოთ, ჰერ ფული არა ტაჭკის ამისათვის და მერე არც არავინ წაიკითხავს, რადგან დღევანდელი გემოვნება არ ითხოვს ასეთს რამეს. ხალხ ბოკკახიოს ნაწერები ცრცხლავით იმოქმედებს გარეხილს ახლთაობაზე და ფული-

ბლომთ მოკა. აიღეს და ბუჭდეს კიდევ რაც უფრო უმსგავსო და დასწავა იყო. აქ სირცხვილია იმის განმეორება, რაც სოციალდემოკრატებმა მარგალიტად სტენეს და ცოდვაცაა იმის ამოთქმა მით უმეტეს ქაღალდზე მოჭრევა, რაც კაცის ღირსებას შელახავს და საზოგადოებას გარყენის, მაგრამ ან რა საშუალებით შეიძლება საქმის მდგომარეობა და პრესის მიმართულების დასურათება და საზოგადოებისთვის განცობა, თუ არა გადმობუჭდვით იმ საზიზღარი გვერდებისა ეხლანდელ გასკობიდან! ისე ვინ წარმოადგენს იმ სისამაგლეს, იმ მარლატანობას, თუ კაცმა თვლით არ შეხება?! ჩვენც მაისრემთ ნებას თავს, ბოდიშს მოვითხოვთ მკითხველთან და ამოვიღებთ ზოგიერთ ნიმუშებს ამ მარგალიტებისას. მაგრამ არა! კერა გავლანძვავთ ჩვენ გასკობის ფურცლებს! მხოლოდ მაუთითებთ მსურველებს გას. „ცნობის“ პირველ ნომერზე, სადაც აწერილია ლეგენდა (?) ბერ-მონაზონის გარეგნილებისა. მერე რა აშკარა რისკიპული ცნის მით არის აწერილი ეს ამბავი! მერე სად? სოციალდემოკრატული გასკობი, რომლის დანიშნულებას დაამყაროს ქვეყნად სიმართლე და ბედნიერება?! აფსუსს, ჭკუის კალოფებო! აფსუსს, ხალხის ბელადებო! აფსუსს პრესისა?

რას ჰქვია იმ ბუჭდვით სიტყვას, იმ სიტყვის თავისუფლებას, რომელიც ასეთს მოღვაწეობას ემსახურება? ესაა პრესისა და მისი დანიშნულება? ამისთვის იგდაკს ადამიანი თავს სიტყვის თავისუფლების მოპოების საჭმეში?! ამისთვის იღვრება სიხსლი და ივსება საპურობილეები?? რათ უნდა ენა და რათ მისცა იგი ღმერთმა მას, ვინც მას ასე ბოროტათ ხმარობს?! ის არა სწობა, რომ მუხვი უთვლიყო?! ან რა ჰქონდა სახეში რედაქციას, რომ გადმოწერა უკვე დაკარგული წიგნიდან ეს საზიზღარი გვერდები?! თუ ზნეობის განადგურება საზოგადოებაში, რა მიზანია ეს მიზანი და რომელს დაწესებულებას ჰქონია იგი ოდესმე სახეში?! რაღა დარჩება ადამიანში, ზნეობა რომ გაშობილდა! თუ საოხუნჯოდ ბუჭდავდა, კერაფერი ხურობა მოსვლით, სიტუტუტუ და უგუნურება-ვი დიდი? ახლა ამის შეუდარეთ ეშმაკის მათრახში კავსკობის და ორსულ საუკარლის სტენა—ბატონი ი. კომაროვისა (№ 24) და თქვენ დაწმუნდებით,

რომ ღმერთმა უკლას წაართვა ჭკუა: ამ რედაქციებსაც და მათ თანამშრომლებსაც!..

ტონკელი.

(შემდეგი იქნება).



პირველი ფურცელი ბიბლიისა.

(პროფესორ ბეტეისი)

დასაწყისი.

„დასაბამად ქმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა“. თითოოეული ადამიანი კერძოდ, ისე როგორც მთელი კაცობრიობა საერთოდ, სდგას ორკეც კითხვის წინ: საიდან გაჩნდით და სად მივიღვართ? მაგრამ ღმერთმა, რომელმაც შექმნა ადამიანის გული და უწყის ყველა მისი კითხვა, გამოგვიცხადა პასუხი თავის სიტყვაში. პირველი წიგნი მოსესი—წიგნი შესაქმნისა მოგვითხრობს, თუ საიდან გაჩნდით, ხოლო უკანასკნელი წიგნი საღმრთო წერილისა—გამოცხადება იოანესი—გვიჩვენებს, სად მივიღვართ.

თუმცა ზოგი ადამიანები, რომელთაც თავიანთ თავი საღმრთო წერილზე უბრძნესი ეგონათ, ყოველ ღონისძიებით ცდილობდნენ შეერყიათ ამ საღმრთო პასუხის მნიშვნელობა, და ყალბი განათლება კი ღალადებს, რომ მეცნიერებამ უკვე გააუქმა კაცობრიობის წინანდელი წარმოდგენა ადამიანის წარმოშობის შესახებ და ჩვენ ღვთისგან კი არა, მაიმუნისგან წარმოდგენით, მაგრამ ეს ყალბი „შედგვი მეცნიერებისა“, გაწბილებული მრავალ ბუნების მეტყველის მიერ და თვით სინამდვილისგან, მხოლოდ ოცნებაა ღვთისგან დაშორებულ ადამიანებისა, ოცნება მათს საკუთარ მოგონებასა და ზმნობას დანდობილი. თვითონ იგინი კითხვაზე: „საიდან გაჩნდით“—არ ვიცითო, გიპასუხებენ; სხვანი იმეორებენ, არაფრისგანო, თითქო არ არის უცებ გადაეწყვიტოს რამედ გადაქცევა! ხოლო კითხვაზე: „საითკენ მიისწრაფის ქვეყანა“, ისინი გიპასუხებენ დაური-

დებლად: „საუკუნო უკუნში“. — რა ნაირად იქნებოდა საკუთარ თავს ამ თავიანთ მოსაზრებით „საუკუნო სიბნელის“ შესახებ!

ხოლო ყველა ხალხის გადმოცემანი საკვირველად ეთანხმებიან ბიბლიის (დაბადების) მოთხრობას. აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, აგრეთვე ინდოეთში, ამერიკაში და აფრიკაში არ მოიპოვება არავითარი გადმოცემა ადამიანის პირუტყვისგან თანდათანობით განვითარების შესახებ (რაც ასე ბუნებრივი იქნებოდა წარმართთათვის), პირიქით ვპოულობთ რწმენას და გადმოცემებს, რომ ადამიანი შექმნილია ბედნიერად და კეთილად საუცხოვრო მხარეში (ანუ ბაღში), დაეცა საკუთარის ნებით და დღემდე ცხოვრობს წყევს ქვეშ. ამ გვარადვე თითქმის ყველა წარმართული სარწმუნოება აღიარებს არა დედამიწის თანდათან გაუნჯობესობასა და ცად გადაქცევას, არამედ უკანასკნელ და საშინელ ბრძოლას, ბოროტების დამარცხებას და მსოფლიოს განსჯას, რომლის შემდეგ დადგება ბედნიერება და ნეტარება. ხალხთა ძველნი გადმოცემანი საუცხოვოდ ეთანხმებიან ბიბლიის მოთხრობას ქვეყნის შექმნის შესახებ. ინდუსთა ერთს უუძველეს საღმრთო წიგნში ვკითხულობთ: „მან, საუკუნიდგან მყოფმან, შექმნა პირველად წყალი მოძრაობითა სულისა თვისისათა, რომლისათვის ეწოდება: „მიმომქცევი წყალთა ზედა“ (შეადარე ა მოსესი ა, ბ).

როდესაც მან, საუკუნოდ მყოფმან, რომლის ძლიერება მიუწოთმელია, შექმნა მსოფლიო, მან შემოქმედება სცვალა განსვენებად“ (შეადარე ა მოსესი ბ, ბ).

სპარსთა ძველ ნაწერებში თქმულია: „ხილული სოფელი, ცა და ქვეყანა, შექმნილ იქმნა ექვს უამსა შინა. პირველად „ორმუზდმა“ — სიკეთის ღმერთმა — შექმნა ნათელი შორის ცისა და ქვეყნისა. ამის შემდეგ წყალი, რომელიც ფარავდა მთელს ქვეყანას; შემდეგ გამოჩნდა დედამიწა, შეიქმნა ყველა გვარის ხე; მებუთედ ყველა მხეცი და ბოლოს შექმნილ იქმნა პირველი კაცი ქაიონურტის მბრწყინავ და ზე აღპყობილ თვალებიანი. მაგრამ ოდესმე კეთილად შექმნილმა ძველმან, არიანმან, დაბნელება მოახდინა ნათლის სამეფოში და ყო-

ველივე ქმნილი დაამახინჯა“.

შემდეგ ვპოულობთ კიდევ თანხმობას ყველა ხალხის თქმულებათა შორის წარღვნის შესახებ. აქ განსაკუთრებით საკვირველი ის გარემოებაა, რომ დედამიწის სხვა-და-სხვა კუთხეს მცხოვრებნი ხალხნი დაწვრილებით მოგვითხრობენ ერთსა და იგივეს საერთოდ და კერძოდ დიდ წყალდიდობაზე, რომელმაც დაფარა ყველა მთა; დიდ გემზე, რომელზედაც გადარჩა რვა (ანუ ოთხ) კაცი. ევროპიელებმა ჩრდილოეთ ამერიკაში ნახეს ინდოელთა ტომი, რომელსაც ტრედი წმიდა ფრინველად მიაჩნდა და არ კლავდა მას. როცა ევროპიელებმა კითხეს მიზეზი ამ გვარის რწმენისა, მთ აუხსნეს, ეს ის ფრინველიაო, რომელმაც დიდ წარღვნის დროს მოუტანა მათ მამას დიდ გემზე ტირიფის რტო (ტირიფის ფურცელი სახითა და ზომით ძაან წაავას ზეთის ხილისას). განა ეს საერთო მამაპაპეული გადმოცემა არ უჩვენებს ამ გადმოცემის მომდინარეობას ნოესა და იმის შვილთაგან?

რაც შეეხება ქვეყნის გაჩენას, დაბადების პირველი მუხლი, — „დასაბამად ქმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა,“ დიდებულის სიმარტივით ხმოვანებს...

ევრავეთარი ცდა ადამიანის აზროვნებისა ვერ აღემატა ამ მოკლე აღწერას და უკუნი-სამდეც ვერ აღემატება, მიუხედავად იმისა, რომ ასობით სწავლულები ცდილობდნენ დაერღვიათ იგი და დაემტკიცებიათ, რომ არავითარი ღმერთი არაა საქირო და რომ ყოველი არსი, ყოველი ცხოველი წარმოიშვა საუკუნო ნივთიერებისგან ამ ნივთიერებისავე საკუთარის ძალე-ბით. ვის შეუძლია წარმოადგინოს ამ შემთხვევაში რაიმე გონიერი? ნამდვილად იქიდან, რაც სწავლულებმა შეიტყვეს ჩვენი ქვეყნის დასაწყისზე, გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ სიცოცხლე, რომელიც აქვს მცენარეებს, პირუტყვებს, ადამიანს, რაც ასხვავებს ამათ ქვათა და ლითონთაგან, საუკუნითგან კი არ არსებობდა დედამიწაზე! მაშ საიდან, გამოჩნდა უცებ ეს სიცოცხლე რა, ნაირად შეიძლებაოდა მკვდარ ნივთიერებიდან უცებ ცხოვრების წარმოშობა თავის თავათ? ეს ჯერ ვერაფერ ახსნა!

ჩვენ კი ვუწყით, ვინაიდან უფალი გვიცხადებს ამას თავის სიტყვაში, რომ ცხოველმა ღმერთმა თავის სიკოცხლის უსაზღვრო საესებისაგან დანერგა სიკოცხლე ქვეყანაზედაც. რასაკვირველია, ეს ღმერთი თვით მიუწოდებელია, მაგრამ ის ღმერთი, რომლის მიწოდება — შემეცნება ჩვენთვის შესაძლებელი შეიქნება, აღარც კი იქნება ღმერთი. სიკოცხლე ღვთისა ცხოველისაგან — ეს გონიერი აზრია; სიკოცხლე კი მკვდარ ნივთიერებიდან — ეს უაზრობაა.

ქეშპარიტად ყველა; ვინც სულით დაბრმავებული არ არის, ამჩნევს თვის შორის ძლიერს მისწრაფებას ნათლისა და სიკოცხლისა, ძალისა და ცნობისადმი და ამ მისწრაფების მიერ ხედავს რომ ის მკვდარ ნივთიერებიდან არ წარმომდგარა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მას სიკოცხლისადმი მისწრაფება კი არ ექნებოდა, არამედ სიკვდილისადმი. დასაბამად ქმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა! როგორც კლდე, სდგანან ეს დიდებული სიტყვები მართივად და ჩინებულად ბიბლიის შესავალთან, საუკუნოდან დროებითში შემყვან ღიად კარებთან. აქნამღი იყო მხოლოდ სამებით ერთი ღმერთი მიუწოდებელს ნათელსა შინა, ამიერიდგან არის შექმნილი, არის ქმნილება. მას შემდეგ რაც დაიდვა ეს საფუძველი, საღმრთო წერილი სტოვეს ზენარ საყოველთა და იქ მცხოვრებთ, რომელთაც ჩვენ მომავალში გავეცნობით და მიმართავს ჩვენს დედამიწას. იგი ამასთან ელაპარაკება ქვეყნის მცხოვრებთ ქვეყნიურად, კაცობრიულად.

იგი ამბობს, როგორც ყველა ჩვენგანი, რომ მზე ამოდის და ჩადის, თუმცა ნამდვილად რომ ვსთქვათ მზე კი არ დაიარება, არამედ დედა-მიწა. ღმერთი რომ არ დაგვლაპარაკებოდა ამგვარად კაცობრიულ ცნებებით და ენით, რომ ელაპარაკა კაცობრიულად კი არა, არამედ ღვთაებურად, უსაზვროდ, მისი სიტყვა ისეთი მაღალი იქნებოდა, რომ არა თუ უსწავლელ ადამიანის გონება, თვით ვარსკვლავთა და ცათა გამსჭვრეტ-გამომკვლევ უდიდეს სწავლულის აზრიც ვერ მისწვდებოდა მას და მისი სიტყვა ჩვენთვის სრულიად გაუგებარი დარჩებოდა.

(შემდეგი იქნება).

ოჯახი სოციალისტურს საზოგადოებაში.

(ვ. კატრენის თხზულებიდან „სოციალიზმი“).

ექვს გარეშეა, რომ ოჯახი შეადგენს ძირითადს და აუცილებელს საფუძველს წესიერად მოწყობილი საზოგადოებისას. თუ სოციალიზმი არღვევს ოჯახს, ის ყოფილა მტერი წესიერებისა და თავისუფლებისა, ცივილიზაციისა და ქრისტიანობისა.

ქორწინება

ჩვენ არ ვამტკიცებთ, ვითომც სოციალიზმს სურდეს კანონმდებლობითი გზით იძულებით დარღვევა ოჯახისა. კატეტიკი თავგამოდებით ეწინააღმდეგება ამგვარს საყვედურებს, რომლებითაც ხანდახან მიმართვენ ხოლმე სოციალდემოკრატიას. „მხოლოდ უსაძაგლესს ქორს შეუძლიან მიაწეროს სოციალდემოკრატის ამგვარი განზრახვა და მხოლოდ სულელი თუ იფიქრებს, რომ დეკრეტის შემწეობით შეიძლება ოჯახის ან შექმნა, ან დარღვევა.“ სოციალდემოკრატების მწერლებმა მოღად შემოიღეს თავი დაიკვან ხოლმე იმ გვარ მხილებათაგან, რომლებიც ფიქრდაც კი არავის მოსვლიათ. ჩვენ მხოლოდ ვამტკიცებთ: რომ ოჯახის განხრწნა ბუნებრივად აუცილებელი შედეგი იქნება სოციალდემოკრატიულ პრინციპთა და მოთხოვნათა, რის დასაბუთება სულაც არ არის ძნელი.

ვინც არღვევს ქორწინების კავშირს, ის არღვევს ოჯახსაც, რადგანაც ქორწინება არის ძირი და საფუძველი ოჯახისა; სოციალიზმი კი სწორედ არღვევს ქორწინებას თვისი თანასწორობის თეორიით, ჩამოყავს იგი ხარისხამდე უბრალო კავშირისა ორ საყვარელთა შორის, რომელიც დაფუძნებულია ნამდვილ ენანობაზე.

აქ ჩვენ შეგვიძლიან დავიმოწმოთ სოციალისტები. უკვე მარქსი ამბობდა, რომ მსხვილი მრეწველობა ანიჭებს ქალებს, ყმაწვილ კაცებს და ორთავე სქესის ბავშვებს თვალსაჩინო როლს საზოგადო წარმოების პროცესში ოჯახის გარეშე და ამითი ქქმნის ახალ ეკონომიკას.

მიუღს საფუძვლებს ოჯახურ და სქესებრივ დამოკიდებულებათა უმაღლეს ფორმისთვის. შეუსაბამი იქნება, ამბობს იგი, რომ გერმანულ ქრისტიანული, ან სხვა რომელიმე ფორმა ოჯახისა, ვსცნოთ სრულად-აბოლუტურად.

როგორ უნდა გვესმოდეს ეს „უმაღლესი ფორმა“ არ სქესთა დამოკიდებულებისა, ამას ჩვენ თვით სოციალდემოკრატები გვეტყვიან.

ერფურტის პროგრამა თხოულობს „გაუქმებას ყველა იმ კანონებისას, რომლებიც ქალს უმორჩილებენ მამაკაცს საზოგადოებრივ ან კერძო უფლებებრივ დამოკიდებულებაში“. ამით უფრო ირღვევა ერთობა ოჯახისა, რომელიც თვისი ერთობისათვის მოითხოვს, რომ ერთერთი ვინმე იყოს უფროსი. თუ ცოლქმარს უთანხმოება მოუვიდათ, ვთქვათ, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა რაიმეს თაობაზე, ვინ უნდა გადასწყვიტოს უთანხმოება?

დაუვგდოთ ყური ზოგიერთ სოციალდემოკრატების ორატორებს.

ქალის მდგომარეობის შესახებ მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში ბებელი სწერს: „სიყვარულის საგნის არჩევაში ქალი ისრევე თავისუფალი და შეუზღუდველი უნდა იყვეს, როგორც მამაკაცი. თვითონ იძლევა ის წინადადებას, თუ მას თხოულობენ, ის თხოვდება მაინც მხოლოდ თავის საკუთარი სურვილით და არა სხვა რაიმე იძულებით. ქორწინება არის კერძო ხელ შეკრულობა შუა კაცის დაუხმარებლად, როგორც იყო საშუალო საუკუნეებამდე. თუ კაცი ხედავს, რომ მის ლტოლვილებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არავის არ აზარალებს და არ ავნებს, — უნდა მოიქცეს თანხმად თავისი შეხედულობისა. სქესებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არის პირადი საქმე ყოველი კაცისა, ისრევე, როგორც დაკმაყოფილება ყოველი სხვა მოთხოვნილებისა. არავინ არ არის ვალდებული ამაზედ ვისმე რაიმე ანგარიში მისცეს და არც შუა კაცი უნდა ერეოდეს ამ საქმეში... კეთილ გონიერება, განათლება, დამოუკიდებლობა ყველას დაიცვენ იმ გვარ საქციელთაგან, რომლებიც მათთვის მანებელნი იქნებიან... უკეთუ ორ შეკავშირებულ პირთა შორის ჩა-

მოვარდა უნდობლობა, ზიზღი, სიძულილი, მაშინ ზნეობა (!) მოითხოვს, შეწყვიტოს იქმნას მათი ერთად ცხოვრება, რომელიც გახდა ბუნების წინააღმდეგი და ამიტომაც უზნეო“.

„ეხლანდელს დროში, სწერს კაუტსკი, ხალხი უფრო მეტად, ვიდრე სხვა დროს ოდესმე, თხოულობს განავითაროს თავისი განსაკუთრებულობა, განმარტოს თავისი დამოკიდებულებანი სხვებთან მიუხედავად თავისუფლად, რავდენადაც უფრო მჭიდრო და თავისებურნი არიან ეს დამოკიდებულებანი. უპირველეს ყოვლისა, ამას ეკუთვნის ქორწინებითი დამოკიდებულება, შემდეგ კი დამოკიდებულება კაცთა ქვეყნიერთან, როგორც მოაზრეთა და მხატვართა“. კომუნისმი მატერიალურ წარმოებაში, ანარქიზმი სულიერში, ასეთია ის ტიპი სოციალისტური წარმოებისა, რომელთანაც მიჰყავს პროლეტარიატის ბატონობას. მხოლოდ სკოლა არ ექვემდებარება ამ საზოგადო კანონს და საესებით სახელმწიფოს უფლებაში უნდა იყვეს.

ქორწინებაზე სოციალისტური შეხედულობის კარგი დამახასიათებელია უსსგავსი სტატია, რომელიც შარშან „ნევე ზეიტ“-ში მოათავსა ცნობილმა ოდა ოლბერგმა. აქამომდე გამეფებულმა სქესებრივმა მორალმა უკვე მოსქამა თავისი დრო. საღს ქალს აღარ სჭირდება დაამტკიცოს თავისი „უფლება დედობაზე“: ამ უფლებას იგი არ არის მოკლებული მიუხედავად იმისა აქვს თუ არა მას მოწმობა ქორწინებისა. ოდა ოლბერგისთვის გაუგებარია ის გარემოება, რომ „ჯერაც არ არის ახლილი წყვეა იმ ქალისგან, რომელიც ქორწინებას გარეშე ხდება დედად.“ მხოლოდ მამაკაცის თავმოყვარეობა ჰპოვებს გარჩევას რიგიან და ურაგო ქალთა შორის. „ამიტომ, დაე ყვილა ეცადოს შეამსუბუქოს მდგომარეობა იმ მხნე ქალებისა, რომლებმაც მიუხედავად საყოველთაო ყავყაყისა, ზეცის ბატონებიდან გაბედულად გამოიტაცეს თავისი საუკუნო უფლებანი და აშკარათ აღიარებენ მათ.“ ოდა ოლბერგი დიდობის უფრო მაღალს დაფასებას მოელის შეილთა შობის რაოდენობის შემცირებასგან. „მუტლის მოწყვეტის ნებადართვით მომზადდ-

მა ვაჟა ქორწინების გარეშე დედობის შესაწყნარებლად“.

ამით სულ აშკარად იქადაგება „თავისუფალი სიყვარული“. რა დაემართება ქორწინებას მაშინ, თუ ცოლ-ქმარი წუთიერი ეინიანობის და ერთმანეთთან შეეწყობლობის გამო დაიწყებენ გაყრას და სხვებთან ახალ კავშირის დაქერას? ჩვენ მაინც საკმარისად არა ვთვლით ამ გვარ მოწმობებს და აზრად გვაქვს ვაჩვენოთ, რომ სოციალიზმმა ბუნებით უნდა დაარღვიოს ოჯახი, ეს საფუძველი საზოგადოებრივი წესიერებისა.

სოციალ დემოკრატების ატეისტურმა ტერიალისტური შეხედულება ვერ ურიგდება ცნებას ქორწინებაზე, როგორც ორპირთა შორის განუყრელს კავშირზე. თუ კაცი არა ხედავს ქორწინებაში არაფერს უმაღლესს მიზანს გარდა ხორციელი სიამოვნებისა, მაშინ რაღა აიძულებს მას დაიდგას კისერზე მძიმე უღელი ერთი და განუყრელი ქორწინებისა? თუ ქმარი მთელს სიცოცხლეში შეკავშირებული უნდა იყვეს თავის ცოლთან, რომელიც ეზიზღება, და რომელსაც ამასთანავე რაიმე სნეულება სჭირს, განა იგი (ქმარი) ჩასთვლის თავის თავს ბრალეულად, თუ უღალატა ცოლს ან სხვა რაიმე დანაშაული ჩაიდინა? თუ ბევრს არსებული წესწყობილების მომხრეს კანონი ქორწინების განუყრელობისა მიაჩნიათ ძალიან სასტიკად და მძიმედ ბევრ შემთხვევათა შესახებ, მაშინ როგორ სურთ სოციალისტებს დაუმორჩილონ ამ კანონს ისინი, რომელნიც ქორწინებაში ეძიებენ რაც შეიძლება მეტს სიამოვნებას. ქორწინების განუყრელობა სულაც არ ეთანხმება ეპიკურულ შეხედულებას ცხოვრებაზე.

საფუძველი, რომელზედაც, უპირველესად ყოვლისა, დამყარებულია ქორწინების განუყრელობა არის შეილთა აღზრდა. აი უმთავრესად ამისთვის არის საჭირო ქორწინების დაურღვეველობა მთელს სიცოცხლეში, რადგანაც შეილების აღზრდა გრძელდება მშობელთა მთელს სიცოცხლეში. ვინც ამ მიზანს ოჯახს ართმევს და აძლევს საზოგადოებას, ის ძირს უთხრის ოჯახის უმთავრესს მიზანს.

სოციალიზმიც სწორედ საზოგადოებას უგდებს ხელში მოზარდ თაობის აღზრდასწავლებას. გოტური პროგრამა აშკარად მოითხოვს „საყოველთაო და თანასწორს აღზრდას სახელმწიფოს საშუალებით.“ იგივე მოთხოვნა, მხოლოდ უფრო ნაკლები სიცხადით, მოყვანილია ერთფურტის პროგრამაში: „საავადლებულო სიარული სახალხო სასწავლებელში, უფასოდ სწავლება, სასწავლო საშუალებანი და საზრდოობა სახალხო სასწავლებელში, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებელიც იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც, მათი ნიჭის მიხედვით, ღირსად ცნობილ იქმნებიან სწავლის გაგრძელებისა“.

მოვისმინოთ კიდევ, რას ბრძანებს ამახედ უმთავრესი მოციქული სოციალიზმისა.

„ახალი საზოგადოების უმთავრესს მიზანს უნდა შეადგენდეს ჯეროვანი აღზრდა შთამომავლობისა. ყოველი ახლად დაბადებული ბავშვი არის სასურველი შემატება საზოგადოებისთვის. საზოგადოება ხედავს მაში თავის შემდეგ არსებობის შესაძლებლობას, თავისს შემდეგ განვითარებას, ამიტომ ის მოვალეობად რაცხს შეძლების დაგვარად ჩაერიოს ახალი არსების ცხოვრებაში. პირველი საზრუნავი საგანი საზოგადოებისა არის მშობელი დედა. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მყუდრო ბინა, საამური მოწყობილება, სხვა და სხვანიირი ხელის შეწყობა ამ მდგომარეობის შესაფერი ყურადღებითი მოვლა მისი და ახლად დაბადებულისა. ცხადია, რომ ბავშვი სწოვს დედის ძუძუს იმ დრომდე, ვიდრე საჭიროა და შესაძლებელი.“

გაიზარდა თუ არა ბავშვი, მის ტოლამხანაგები ელიან ერთად სათამაშოთ საზოგადოების ყურისგდების ქვეშ. ყველაფერი ბავშვის სულიერი და ხორციელი განვითარებისთვის, მიხედვით მის ნიქსა და მოთხოვნილებაზე, მზად არის, სათამაშო დარბაზებს და საბავშვო ბაღებს თან მოსდევს სათამაშოსავე სახით, შეყვარება ცოდნის და კაცური შრომის დასაწყისში. შემდეგ მოსდევს ჰასკის შესაფერი სულიერი და ფიზიკური შრომა, გიმნასტური ვარჯიშობა, თავისუფალი მოძრაობა სათამაშო და სასიერნო

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

ადგილებზე, თოვლის გორებზე და საბანაოებში. ვარჯიშობა ზომით სიარულში, ქიდაობა და სხვა ვარჯიშობა ორივე სქესთა ერთად ავსებენ ერთმანეთს. ყველა ამან უნდა შექქმას სალი სულიერად და ფიზიკურად, წესიერად განვითარებული თაობა. ამას უნდა მოსდევდეს სხვადასხვა პრაქტიკული მუშაობა—მებაღეობა, მეურნეობა, საფაბრიკო წარმოება. ამასთანავე არ უნდა იქმნას უყურადღებოდ დატოვებული სხვა და სხვა ცოდნის გაუმჯობესებაც.

მოწყობა სასწავლო ადგილისა, აღმზრდელ დაწესებულებათა და საშუალებათა შეესაბამება საზოგადოების მაღალ კულტურულ მდგომარეობას. სწავლა-განათლებლ საშუალებათა, ტანისამოსს და საზრდოს იძლევა საზოგადოება. მოწაფეებს ყველაფერი თანასწორად ექნებათ.

„შემდეგ აღზრდა უნდა იყვეს საზოგადო და ერთნაირი ორივე სქესისთვის. სქესთა განცალკევება მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა საჭირო გახდება სქესებრივი გარჩევის გამო. სოციალისტური აღმზრდელი სისტემა ამას იქითაც განაგრძობს თავის საქმეს. ჯეროვნად დაყენებული და კანტროლს დაქვემდებარებული, ის არაფერს არა სტოვებს უყურადღებოდ და ზრუნავს ყრმებზე იმ დრომდე, როცა საზოგადოება გამოაცხადებს მათ სრულწლოვანებად და მოწიფულებად. ეხლა ორივე სქესის ყმაწვილებს სრულად შეუძლიანთ ისარგებლონ ყველა უფლებებით დაკმასაყოფელოდ აღასრულონ ყველა ვალდებულებანი ყველაფერში. ეხლა საზოგადოებას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ მას აღეზარდნენ სრულიად სალი და ყოველ მხრივ განვითარებული წევრები“.

ნატარყანელი.

(შემდეგი იქნება).



რედაქტორი მღვდელი სიმონ მგებლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეთავა



იყიდება დეკანოზის ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ გამოცემული წიგნები:

1, პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე. ეს წიგნი შესდგება ოთხი განყოფილებისაგან: ა) ლოცვა, ბ) ძველი და ახალი აღთქმის საღვთო ისტორია, გ) მოკლე კატეხისმო და დ) სწავლა ღვთის მსახურებაზე. ეს წიგნი დადებულია ეკლესიის სამრევლო სკოლებში და სჯერო დაბალ ხარისხის სასწავლებლებში. ფასი 20 კაპ.

2, კათაფის ვატიშვილი, ისტორიული მოთხრობა ქრისტეს დროიდან; მასში გამოხატულია იმ დროის ებრაელთა ზნე ჩუქულები, შეიცავს 30 თავს, 247 გვ. ფასი 50 კაპ.

3, მესამე ოქრო, მცირე მოთხრობა კაცის სიხარბე-გაუმადრობაზე, ფასი 5 კ.

4, გზა ცხოვრებისა. მაგალითნი მოყვანნი სხვა და სხვა მაღალ ზნეობის კაცთა ცხოვრებიდან. წიგნში არის §§ 69 და დირს 30 კ.

5, მამა დავით გარესჯელის ცხოვრება ფასი 10 კ.

6, ცოლ-ქმრობა ფასი 5 კ.

7) ქრისტიანობა და დემოკრატია—ქრისტიანობა და სოციალიზმი. ნათარგმნი პრაფესორ ანატოლ ლერუა ბოლაეს წიგნიდან. ფასი 15 კაპ.

ეს წიგნები აუიდება თბილისში და ქუთაისში წიგნების მაღაზიებში. გარეშე ადგილიდან წიგნების დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით:

Кутаисъ. Протоіерей Н. Кубанейшвили. წიგნის მაღაზიებს და სოფლის მასწავლებლებს, კანც მათგანი ნაღდ ფულზე გამოაწერს არა ნაკლებ 10 მანეთის წიგნს, დაეთმობა 20 პროცენტია. გაგზავნა შეიძლება სარწით.